საქართველოს მთავრობის განკარგულება

№725 2018 წლის 4 აპრილი ქ. თბილისი

საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი გაზით მომარაგებისათვის საჭირო ღონისძიებების შესახებ

1. საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი გაზით მომარაგების ღონისძიებების ხელშეწყობის მიზნით, შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიამ“ უზრუნველყოს შემდეგი პროექტების განხორციელება:

ა) ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფლების: ზედა აჭყვისა და ქვედა აჭყვის გაზიფიცირებისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების შესრულება;

ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფლების: ლესას, ზემო ჩიბათის, ქვემო ჩიბათისა და ქვემო აკეთის გაზიფიცირებისათვის საჭირო სამშენებლო და სოფელ ჭალას გაზიფიცირებისათვის საჭირო საპროექტო სამუშაოების შესრულება;

გ) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფლების: ამაღლებისა და სამების გაზიფიცირებისათვის საჭირო სამშენებლო და სოფლების: ბუქსიეთის, ბჟოლიეთის, წიფნაგვარასა და ხევის გაზიფიცირებისთვის საჭირო საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების შესრულება;

დ) თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიხორის გაზიფიცირებისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების შესრულება;

ე) წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლების: ქვედა მესხეთისა და ზედა მესხეთის გაზიფიცირებისათვის საჭირო სამშენებლო და სოფლების: მუხიანისა და ბროწეულას დასახლების გაზიფიცირებისათვის საჭირო საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების შესრულება;

ვ) დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფლების: ჭოეთის, თავწყაროს, საბათლოს, ფიროსმანის, სამთაწყაროს, არხილოსკალოს, ზემო ქედისა და ქვემო ქედის გაზიფიცირებისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების შესრულება;

ზ) ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფლების: დავითიანის, შეერთებას, ქვემო გურგენიანის, ზემო გურგენიანის, ხიზაბავრასა და ზემო ხიზას გაზიფიცირებისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების შესრულება;

თ) დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფლების: ჩიტაურების, ჭალისოფლისა და ზენუბანის გაზიფიცირებისათვის საჭირო სამშენებლო და სოფლების: ბაგას, საშაბუროს, ნაგლიანთკარის, ყარსიმაანთკარისა და ლაზვიანის გაზიფიცირებისათვის საჭირო საპროექტო სამუშაოების შესრულება;

ი) მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელუბანის გაზიფიცირებისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების შესრულება;

კ) ქ. მარტვილში გაზიფიცირების გარეშე დარჩენილი უბნების გაზიფიცირებისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების შესრულება;

ლ) სენაკის მუნიციპალიტეტის სოფლების: გეჯეთის, ნოქალაქევის, ძველი სენაკის, ზედა სორტასა და ქვედა სორტას გაზიფიცირებისათვის საჭირო სამშენებლო და სოფელ მეორე ნოსირის გაზიფიცირებისათვის საჭირო საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების შესრულება;

მ) ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფლების: მამხუტის, ხატავეთის, ქვემო არქვენის, ზემო არქვენისა და გეტას გაზიფიცირებისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების შესრულება;

ნ) გორის მუნიციპალიტეტის სოფლების: თერგვისისა და ხიდისთავის გაზიფიცირებისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების შესრულება;

ო) კასპის მუნიციპალიტეტის სოფლების: ბარნაბიანთკარის, თოგოიანთკარის, ნიგოზას, გრაკალისა და ჩობალაურის გაზიფიცირებისათვის საჭირო საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების შესრულება;

პ) ქარელის მუნიციპალიტეტის სოფლების: კოდავარდისუბნის, ზემო შაქშაქეთისა და დოღლაურის გაზიფიცირებისათვის საჭირო საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების შესრულება;

ჟ) ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლების: ქემფერის, ცოცხნარას, ოძისის, ცივწყაროს, ცედანის, წაბლოვანას, ქვემო აძვისისა და ურთხვას გაზიფიცირებისათვის საჭირო საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების შესრულება;

რ) გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფლების: ლემშვენიერას, მზიანეთის, ჯანდარას, ქესალოს, ნაზარლოსა და ვახტანგისის გაზიფიცირებისათვის საჭირო მკვებავი გაზსადენის საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების შესრულება;

ს) საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩონთოს გაზიფიცირებისათვის საჭირო საპროექტო სამუშაოების შესრულება;

ტ) ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა ეწერის გაზიფიცირებისათვის საჭირო საპროექტო და სამშენებლო სამუშაოებისა და სოფელ ჩხორიის გაზიფიცირებისათვის საჭირო საპროექტო სამუშაოების შესრულება;

უ) ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ბულიწყუს გაზიფიცირებისათვის საჭირო საპროექტო სამუშაოების შესრულება.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელების მიზნით, შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიამ“ უზრუნველყოს საქართველოს მთავრობის 2017 წლის 24 იანვრის №75 და 2017 წლის 3 აგვისტოს №1626 განკარგულებების საფუძველზე გამოყოფილი და მის კაპიტალში შეტანილი თანხების ფარგლებში მორჩენილი ეკონომიისა და აგრეთვე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2017 წლის 27 დეკემბრის №1-1/568 ბრძანების საფუძველზე მის კაპიტალში შეტანილი თანხის გამოყენება.

3. ეთხოვოთ ქობულეთის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, თერჯოლის, წყალტუბოს, დედოფლისწყაროს, ლაგოდეხის, დუშეთის, მცხეთის, მარტვილის, სენაკის, ბოლნისის, გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის, გარდაბნის, საჩხერის, ზუგდიდისა და ხობის მუნიციპალიტეტების მერიებს ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული სამუშაოების ნებართვების გაცემის მიზნით საჭირო ქმედებების განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**